ადრესატი:

გიორგი გაზდელიანი
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**პ/16404590**
თარიღი: **03/05/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საჯარო განხილვა
საჯარო განხილვის

ოქმიN1

დ.ლენტეხი 27.04 . 2023 წ

მიმდინარე წლის 27 აპრილს დღის 14 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის საჯარო განხილვა.

საჯარო განხილვას ესწრებოდნენ:ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე გოირგი გაზდელიანი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მოადგილეები მევლუდ ლიპარტელიანი და დავით პირველი , ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე ლამზირა გუგავა, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების (სამსახურების) უფროსები: მერისს საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი , ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და მერიის იურდიული სამსახურის უფროსი ტუღუ აფაქიძე .

საჯარო განხილვას ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის (აპარატის) ხელმძღვანელი მაყვალა ჩანქსელიანი ,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მდივანი ანჟელა ჩანქსელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი ელისო გაზდელიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალიტი მაყვალა ბენდელიანი, ა.(ა)ი.პ -ის ხელმძღვანელები და თანამშრომლები: ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრის დირექტორი რაია ქურასბედიანი, ა.(ა)ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორი ცირო ლიპარტელიანი; ა.(ა).ი. პ. კომუნალური მომსახურებისა და კეთილმოწყობის ცენტრის დირექტორი ვიოლეტა ლიპარტელიანი, ა.(ა). ი. პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების უფროსის მოადგილე მაგული ლიპარტელიანი , ამავე გაერთიანების სპეციალისტი იამზე ჩანქსელიანი, მერიის წარმომადგენელი ლენტეხის თემში ლაშა ონიანი.ა.(ა). ი.პ. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი მართა ლიპარტელიანი და საზოგადოების წარმომადგენლები დაბიდან და სხვადასხვა სოფლებიდან მოქალაქეები.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავჯდომარე ლამზირა გუგავა მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ დღევანდელი შეხვედრის მთავარ თემას წარმოადგენს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა./მომხსენებელი მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/

მოისმინეს: მომხსენებელმა- მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ანგარიში:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2022 წლის დამტკიცებულმა სემოსავლების გეგმამ შეადგინა 16.696.800 ლარი, ხოლო ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადინა 15.378.500 ლარი (1.318.300 ლარით ნაკლები, რაც გრანტების ნაწილში შემცირებით იყო გამოწვეული).

გადასახადები დაგეგმილი იყო 5.355.000ლარით, ფაქტმა სეადგინა 5.428.300 ლარი, გრანტები დაგეგმილი იყო 11.041.800 ლარით ფაქტმა შეადგინა 9.605.800 ლარი, სხვა შემოსავლები დაგეგმილი იყო 2.105.200 ლარით, ფაქტმა სეადგინა 2.092.200ლარი. საქონელი და მომსახურეობა დაგეგმილი იყო 1.709.600 ლარით, ფაქტმა შეადგინა 1.547.900ლარი.. სუბსიდიები დაგეგმილი იყო 2.350.000 ლარით, ფაქტმა შეადგინა 2.343.700 ლარი. სოციალური უზრუნველყოფა დაგეგმილი იყო 1.800.000 ლარით, ფაქტმა შეადგინა 173.000 ლარი. სხვა ხარჯები 51.200 ლარი, ფაქტმა შეადგინა 52.100 ლარი.

2022 წლის 1 იანვრისტვის არსებული ნაშთი შეადგენდა 2.023.200 ლარს.ლე ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის შემოსულობების გეგმამ შეადგინა 18.720.100 ლარი, ფაქტმა შეადგინა 17.406.500 ლარი. მიზნობრივი ტრანსფერი გეგმა 622.700, ფაქტი 560.500 გეგმის 90%, სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები 2.107.200 ფაქტი 2.009.000 გეგმის 95%, კაპიტალური

ტრანსფერი 6.581.100 ლარი, ფაქტი შეადგენს 5.380.000 ლარს გეგმის 81%., სპეციალური ტრანსფერი 725.000 ფაქტი 725.000 ლარი 100%. მაღალმთიანი დასახლებების ღონისძიებები 264.9 ფაქტი 192.9 72%. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 604.,000 ფაქტი 604.000 100%. საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები 46.400 გეგმის 100%, გადასახდელები სულ 11.041.800 ფაქტი 9.605.800 86%.

ბიუჯეტის შესრულება ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით:

01.0 აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების უზრუნველყოფა

გეგმმა- 3.755.4 ფაქტი 3.529.500 93%;

თავდაცვა -89000, ფაქტი 89 000 100%;

02. ინფრასტრუქტური განვითარება - 6.619.900

03. დასუფთავება და გარემოს დაცვა - 323. 400;

04. განათლება -601,200ლარი;

05. კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი - 1.055.500;

06. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 300.00;

სულ პრიორიტეტების მიხედვიტ მუნიციპალიტეტის ასიგნებებმა შეადგინა 12.515.200ლარი.

მმართველობა და საეღტო დანიშნულების ხარჯები

გეგმა -4.018.000 ფაქტი 3.618.000ლარი გეგმის 90 %.

მუნიციპალიტეტის საკრებულო 838.800ლარი;

მერია - 2.479.500

სამხედრო აღრიცხვის სამსახური - 88500ლარი;

ა(ა)ი.პ თემებთან ურთიერთობის ცენტრი - 20900ლარი;

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარისო პერეიოდში დაფინანსდა 6.616.900 ლარით, დაგეგმილი იყო 12 395.300ლარით, გეგმის 53 %.

საქართველოს მთავრობის N-1413 განკარგულებით გამოგვეყო 921 234 ლარი; N-2435 განკარგულებით 1.310.000 ლარი, N131 განკარგულებით 750000 ლარი, N-75 განკარგულებით აგვისტოს თვეში 1.500.000ლარი.

გზები--ხიდები გეგმა -5.882.800ლარი. ფაქტი 2.939.700. 49%;

წყლის სისტემები - 1.632.900ლარი. ფაქტი 957.800. 58%;

გარე განათების მოწყობა - 160.200. ფაქტი 42800. 26%;

კეთილმოწყობა - 3.373.500. ფაქტი 1.790.700. 47%;

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 604.000. 100%.

საპროექტო - 302.9 ფაქტი 208.3 . 68 %.

ა(ა)ი. პირებისთვის გამოყოფილი თანხები:

1. თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის ცენტრი - 209 000ლარი;

2. გარემოს დაცვა - 95000ლარი;

3. კომუნალური მომსახურეობა - 228400ლარი;

4. ფერმერული მომსახურეობა -75900ლარი;

5. ოლიმპიური მომზადების ცენტრი -65600ლარი;

6. ტურიზმის განვითარების ცენტრი - 87 800ლარი;

7. სასპორტო სკოლების გაერთიანება - 118600ლარი;

8. საბიბლიოთეკო გაერთიანება- 106300ლარი;

9. მუზეუმი- 68200ლარი;

10. კულტურის გაერთიანება -437600ლარი;

11. ჯოკია მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი - 121 200;

12. საზოგადოებრივი ჯანდაცვა - 90 000 ლარი;

ანგარიშის მოსმენის შემდეგ აზრი გამოთქვა საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა: აღნიშნა, რომ საკრებულო ყოველ სამ თვეში ისმენს მერიის საფინანსო სამსახურის ანგარიშს გაწეული მუშაობის და ბიუჯეტის შესრულების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საფინანსო სამსახური ორიენტირებულია საქმის ხარისხიანად და დროულად შესრულებაზე.

დამსწრე საზოგადოებიდან შეკითხვები დაუსვეს მომხსენებელს - ნაშთებთან, ჯანდაცვასთან და სხვა მმათთვის საინტერესო საკითხებთან დაკავშირებით. მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა ყოველ დასმულ კითხვაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდეწლიანმა აღნიშნა, რომ 1 მაისს დღის 12 საათზე ჩატარდება საკრებულოს რიგგარეშე სხდომა და სხდომაზე დამტკიცდება ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის

საჯარო განხილვის სხდომა დამთავრდა დღის 16 საათზე.

ლამზირა გუგავა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე